პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
6 მაისი
1939 წ.
№ 102 (5502)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა (მეთაური)
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი)
ამხ. კოკინაკი და გორდიენკო ამერიკის შეერთებულ შტატებში (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი (1-ლი გვ.)
პრესის დღისადმი მიძღვნილი კრება (1-ლი გვ.)
გ. ტიხოვიროვი—სსრ კავშირის ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენაზე (მე-2 გვ.)
ბოლშევიზმის ისტორიული კრება თბილისში (მე-3 გვ.)
გიორგი ლეონიძე—„ბელადის გავაზოგება და ყრმობა“ (მე-3 გვ.)

უცხოეთში:
შეკითხვა ინგლისის თემთა პალატაში (მე-4 გვ.)
ჩემბერლენის გამოსვლა (მე-4 გვ.)
იდენის გამოსვლა (მე-4 გვ.)
გერმანული პრესის გოიკოტი პოლონეთში (მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მოწვევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია მოწვეულ იქნას ა. წ. 25 მაისს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 5 მაისი.

კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

ამ ოთხი თვის წინათ ძალაში შევიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება „შრომის დისციპლინის მოწესრიგებისა, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. განუსაზღვრელია ამ დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობა სოციალიზმის შემდგომ გამაჯვებათა მოპოვებაში. მისი ძალაში შესვლის დღიდან ამ მოკლე ხნის მანძილზე შრომის ნაყოფიერება არაჩვეულებრივად გაიზარდა, დამყარდა წესრიგი საწარმო-დაწესებულებებში, შეიქმნა შრომის ახალი დისციპლინა და საგრძნობლად შემცირდა დისციპლინის ისეთი უხეში დარღვევები, როგორიცაა სამუშაოზე დაგვიანება, გაცდენა, მუშაობის დროს ცუღლუტობა და დეზორგანიზატორობა, წარმოების ინტერესებისადმი ანტიხალხური დამოკიდებულება და სხვ.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ჩვენი სოციალისტური მეწყველობის ცალკეულმა დარგებმა 1939 წლის პირველი კვარტალის გეგმაზე ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს. ეს მიღწეულ იქნა იმის შედეგად, რომ „ჩვენს ქვეყანაში შრომა სათაკილო ტვირთისაგან, ძმის ბეგარისაგან, როგორიც იყო იგი კაპიტალიზმის დროს, გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სამამაცისა და გმირობის საქმედ“.

ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მიღწეული წარმატებებით დავკმაყოფილდეთ.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა** თავის ბრძნულ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მუშაობის შესახებ მთელს ჩვენს ქვეყანას ერთერთ მთავარ საბრძოლო ამოცანად დაუსახა: უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით ისმება ჩვენს წინაშე და მოითხოვს დიდ და დაძაბულ მუშაობას.

ეს უაღრესად გრანდიოზული ამოცანა წარმატებით რომ გადავჭრათ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმა—სტახანოვური მოძრაობა, ბოლო მოვუღოთ შრომის დისციპლინის განმტკიცებისადმი შეუწყნარებელ უდარდელ დამოკიდებულებას, კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და განუხრელად განვახორციელოდ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სრულიად-საკავშირო პროფსაბჭოს გასული წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტის გამოქვეყნების პირველ დღეებში მართლაც მეტად სერიოზული მუშაობა გაიშალა შრომის ახალი დისციპლინის შექმნისათვის. დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა შრომის დეზორგანიზატორების, ფრენიების, წამგლეჯების, ცუღლუტებისა და ყველა მათ წინააღმდეგ, რომელნიც „...დაჟინებით ებღაუჭებიან კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს) და განაგრძობენ საბჭოთა სახელმწიფოზე წინანდებურად ცქერას: მისცენ „მას“ რაც შეიძლება ნაკლები და უფრო ცუდი სამუშაო,—წაჰგლეჯონ „მას“ რაც შეიძლება მეტი ფული“ (ვ. ლენინი).

მიუხედავად აღნიშნულისა, უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაიზარდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1938 წ. 28 დეკემბრის დადგენილების დარღვევის ფაქტები.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის საერთო საცხოვრებელში დღესაც ისევ ცხოვრობს 35 კაცი, რომელთა ნაწილი დათხოვნილია სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო, ხოლო ნაწილს არავითარი კავშირი არა აქვს წარმოებასთან (მურადაშვილი, ა. დონღუზაშვილი, ბერუაშვილი, თათარიშვილი და სხვ.). ამავე დროს კი ამ ქარხნის ზოგიერთი მუშა მოუწყობელ და შეუფერებელ ბინებში ცხოვრობს.

ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროში ირიცხება ვინმე ივანე ლიკლიკაძე, რომელსაც აპრილში არცერთი დღე არა აქვს ნამუშევარი, ხოლო წარმოების საუკეთესო ბინაში ცხოვრობს. ამავე წარმოების შრომის დეზორგანიზატორი ლეონტი ხუჯაძე, რომელმაც აპრილში 9 დღე გააცდინა, დღესაც არ გამოუსალებიათ ბინიდან.

„კომუნისტის“ ადგილებიდან მოსდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ზუსტად არ იცავენ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის **პრაქტიკის გაუმჯობესების** კანონს, ადგილი აქვს მეტაბელეთა მუშაობის შეუფასებლობას, სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ დარგის განმტკიცებას, შემოწმებული და საიმედო კადრებით.

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობამ გრანდიოზულ სამუშაოთა პროგრამა დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დასაჩქარებლად. მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ასე სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კიდევ უფრო ანმტკიცებს მოპოვებულ წარმატებებს. მშრომელი მასების მძლავრი შემოქმედებითი უნარის მაქსიმალურად გამოყენებით უნდა დავაჩქარით ჩვენი ქვეყნის სრული გამარჯვება კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ყოველმხრივ უნდა განამტკიცონ შრომის დისციპლინა და სანიმუშოდ მოაწყონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდის იმ გეგმის განსახორციელებლად, რომელიც დასაბულია მესამე სტალინური ხუთწლედით.

არავითარი დანდობა შრომის დეზორგანიზატორებს და ყათს მფარველებს!

ბელადის ლოზუნგი — ბრძოლა ბოროტმოქმედებებთან

„ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ — ეს ლოზუნგი ბელადმა ლენინმა ჯერ 1918 წლის 28 ივნისს „ბოლშევიკის“ ერთ-ერთ ნომერში ასეთ ფორმულირებით: „ბოროტმოქმედებებთან ბრძოლა“. ეს ლოზუნგი ბელადმა ლენინმა

შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ახლადმიღებული მუშების წერილი

ამავე რაიონის სოფ. იანეთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ, სოფ. იანეთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც ახლახან დავიწყეთ მუშაობა სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში, უსაზღვროდ აღგაფრთოვანა მშობლიური დიდი სტალინის ბრძნულმა, ისტორიულმა მოხსენებამ და ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

პარტიისა და მთავრობის დახმარებით კოლმეურნეთა, ისე როგორც ყველა მშრომელთა ცხოვრების პირობები ყოველდღიურად უმჯობესდება. ჩვენი კეთილდღეობის სწრაფი ზრდის ინტერესები მოითხოვს სოციალისტური მრეწველობის შემდგომ გაფართოებას, მასობრივი მოხმარების საგნების წარმოების ზრდას. ამხანაგმა სტალინმა სთხოვა კოლმეურნეობებს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის უზრუნველსაყოფად, ჩვენს მზარდ სოციალისტურ მრეწველობას ყოველწლიურად მისცენ დაახლოებით მილიონნახევარი ახალგაზრდა კოლმეურნე.

თქვენს კოლმეურნეობას ყოველგვარი პირობა გაჩენია იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს დიდი ბელადის ამ მოწოდების სასახელოდ შესრულებაში. თქვენ წელს მტს-მა მოგიხნათ ხუთჯერ მეტი მიწა, ვიდრე შარშან. თქვენს განკარგულებაში არსებული სათესი მანქანების და კულტივატორების მთლიანად გამოყენებით შეგიძლიათ შვიდჯერ და კიდევ უფრო მეტად შეამცეროთ მუშა-ხელის საჭიროება ცალკეულ სამუშაოებზე, ბრიგადების შიგნით ჯგუფების მოწყობით თვალსაჩინოდ გაზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

შარშან, როცა ჩვენ კოლმეურნეობაში ემუშაობდით იმის გამო, რომ შრომა სწორად არა გვქონდა მოწესრიგებული, საგაზაფხულო თესვა მაისის ბოლომდე გაგრძელდა, წელს კი, როგორც გავიგეთ, მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელთან შედარებით დიდად გაიზარდა თქვენი გეგმები და სამოცამდე მუშა-ხელი ფაბრიკა-ქარხნებსა და რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოთ წამოვედით, ვადამდე ადრე და გადაჭარბებით შეგისრულებიათ სიმინდის, ბოსტნეულის და მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმები.

გეგმების შესრულებაში არც სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა ჩამორჩენილა. ფაბრიკამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ხარისხის დაცვით 103,1 პროცენტით შეასრულა. სოფ. იანეთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან ფაბრიკაში რამდენიმე თვის წინათ მიღებული მუშა თამარ ქავთარაძე ამჟამად ორ დაზგაზე მუშაობს. ვერა ლეკვეიშვილმა მარტის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა და გასწია აბრეშუმის პარკის ხარჯვის ეკონომია, შურა კუჭუხიძემ მარტის გეგმა 109 პროცენტით შეასრულა.

ჩვენი ფაბრიკის საერთო წარმატება კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, მუშა-ხელი რომ არ გვაკლდეს. ჩვენს ფაბრიკას კიდევ სჭირდება 60-მდე მბარაშველი, ძაფის ამომღები და გამკინძველი. ამ მუშა-ხელს კი იგი ელოდება თვენგან, კოლმეურნეობებიდან. მოდით, ამხანაგებო, კიდევ გადასინჯეთ თქვენი შესაძლებლობანი, შეამოწმეთ, რამდენად სრული დატვირთვით იყენებთ თქვენს საწარმოო საშუალებებს, რათა მთელი ჭარბი მუშა-ხელი გამოგზავნოთ სოციალისტურ მრეწველობაში სამუშაოდ.

ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყოთ, რომ სოციალისტური მრეწველობისათვის მეტი მუშა-ხელის მოწოდება მხოლოდ იმ კოლმეურნეობას შეუძლია, რომელიც კარგად მოაწესრიგებს შრომას, სრული დატვირთვით გამოიყენებს იარაღმანქანებს, ფართოდ გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას, ცალკეულ სტახანოველთა გამოცდილებას გახდის ყველას საკუთრებად და გადავა მთლიან სტახანოვურ მუშაობაზე.

კოლმეურნეობიდან ჩვენს ფაბრიკაში ახლად მოსულ მუშებს, ისე როგორც სხვებს, ნაყოფიერი შრომისათვის ყოველგვარი პირობები გვაქვს შექმნილი. ჩვენ ჩაბმული ვართ ტექნიკურ წრეებში, ვსწავლობთ აბრეშუმის მრეწველობის ტექნიკუმში, რომელიც ფაბრიკასთან არსებობს, ვიმაღლებთ კვალიფიკაციას და ვიბრძვით იმისათვის, რომ სოციალისტურ სამშობლოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი და მაღალი ხარისხის აბრეშუმის ძაფი. ჩვენი ფაბრიკის მუშები კარგად ცხოვრობენ. ჩვენი ფაბრიკის სტახანოველი მუშები კარგ ხელფასს აკეთებენ.

სოფ. იანეთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც სამუშაოზე ამჟამად სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში ვიმყოფებით, გადავწყვიტეთ გამოგიწვიოთ თქვენ სოცშეჯიბრებაში. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას დავეუფლოთ აბრეშუმის მრეწველობის მოწინავე ტექნიკას, ვიმუშაოთ სტახანოვურად და მივაღწიოთ იმას, რომ მთელმა ჩვენმა ფაბრიკამ წლიური საწარმოო დავალება შეასრულოს ვადამდე 10 დღით ადრე და ქვეყანას მისცეს 42 ათასი კილოგრამი მაღალი ხარისხის გრეჟა, მაგრამ ამ დავალების შესრულებისათვის საჭირო იქნება კოლმეურნეობათა კიდევ უფრო მეტი დახმარება მუშა-ხელის მოწოდებით.

ჩვენ მოგიწოდებთ მოაწყოთ სოცშეჯიბრება მეზობელ კოლმეურნეობებთან ყველა კულტურის ხაზით მაღალი, სტალინური მოსავლის მიღებაზე, შრომის სწორად მოწესრიგებაზე, სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაზე. მთელი ჩვენი მუშაობა და ინტერესი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ურთიერთ სოციალისტური დახმარებით გეგმა შეასრულოს არა მარტო ჩვენმა ფაბრიკამ და თქვენმა კოლმეურნეობამ, არამედ სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა.

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ახლადმიღებული მუშები: ვერა ლეკვეიშვილი, თამარ ქავთარაძე, შურა კუჭუხიძე, ელენე კოხრეიძე, ნადია ლეკვეიშვილი, ლიდა ლეკვეიშვილი, ნინო ყუფარაძე, კალისტინე კოხრეიძე, ფედოსი კოპალეიშვილი, შუშანა ძიძიგური, ნადია კოხრეიძე, ანა ლეკვეიშვილი და მარო კოპალეიშვილი.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა ამუშავების წინ

ქუთაისი, (საქდესი). დამთავრდა ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მშენებლობა, რომელიც მეორეა მთელს საბჭოთა კავშირში. ქარხანა ჩვენს მრეწველობას ძვირფას მინერალურ საღებავს მიაწოდებს.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. მ. ფ. დენისოვის ბრძანების თანახმად, ახალი ქარხანა ივნისში უნდა ამუშავდეს და უკვე წელს მისცემს ჩვენს ქვეყანას 7 ათას ტონა ძვირფას ლიტოპონს. ქარხნის ნაყოფიერება წელიწადში 12 ათასი ტონა ლიტოპონით არის განსაზღვრული (ლენინგრადის ვოროვსკის სახელობის ლიტოპონის ქარხანა წელიწადში 15 ათას ტონა საღებავს ამზადებს).

ახალი საწარმოს ბაზას წარმოადგენს ქუთაისის რაიონის ბარიტის საბადო, რაც ყველაზე დიდი საბადოა ბარიტისა მთელ საბჭოთა კავშირში. ქართული ბარიტის მაღალმა ხარისხმა და საბადოების სიუხვემ ჩინებული პირობები შეჰქმნეს ლიტოპონის მძლავრი ქარხნის ასაგებად ქუთაისში, იგი საკმაოდ არის უზრუნველყოფილი საჭირო ნედლეულით.

ქუთაისის ქარხნის პროდუქცია ბევრნაირად იქნება გამოყენებული. თეთრ მინერალურ საღებავს განსაკუთრებული ძვირფასი თვისებები აქვს, რომელთა წყალობით შეუდარებელ ნედლეულს წარმოადგენს რეზინის, ქაღალდის, ალუმინისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

ლიტოპონის წარმოება ერთერთი ურთულესი წარმოებაა სანდალოზსაღებავის მრეწველობაში.

თუთიის ჟანგთან შეერთებულმა ბარიტმა, სანამ თეთრ საღებავად იქცეოდეს, გრძელი და რთული ქიმიური გარდაქმნა უნდა განიცადოს.

მთელი ქარხანა სამი საამქროსაგან შესდგება: ლიტოპონის და ორი მოსამზადებელი — ბარიუმისა და თუთიის საამქროებისაგან.

ქარხანაში შრომა მაქსიმალურად არის მექანიზებული. იმის მიუხედავად, რომ წარმოების პირობების მიხედვით, ქარხანა განუწყვეტლივ 3 ცვლად უნდა მუშაობდეს, მუშების საერთო რიცხვი, მათ შორის დამხმარე მუშები და მოსამსახურენი, 550-ზე მეტი არ იქნება.

ქარხნის მთელი მოწყობილობა საბჭოთა წარმოებისაა.

ამჟამად მთავრდება მოწყობილობის მონტაჟი. ძირითადი მოწყობილობა უკვე გამართულია; საშინაოდ ჩატარებულ იქნა მისი ცალიერა მუშაობა. გამოცდას კარგი შედეგი მოჰყვა. სეროზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამშენებლო ფართობზე არ მოიპოვება ვაკუუმფილტრები, რედუქტორები, მორბედები და მთელი რიგი სხვა მექანიზმები. მთელი ეს მოწყობილობა თავის დროზეა შეკვეთილი ლენინგრადსა და კიევში, მაგრამ მომწოდებელი ქარხნები მათ გადმოგზავნას აგვიანებენ.

მშენებლობისა და მოწყობის მაისის გეგმა იმ ვარაუდით არის შედგენილი, რომ ყველა სამუშაო, მათ შორის იმ მოწყობილობის მონტაჟი, რომელსაც მოელიან, 25 მაისისათვის უნდა დამთავრდეს.

ეს საშუალებას იძლევა, რომ 1-ლი ივნისიდან დაწყებულ იქნას მთელი მოწყობილობის გამოცდა და ამ თვეშივე იქნას გამოშვებული პირველი სამრეწველო პროდუქცია.

მოძმე რესპუბლიკათა მჭს-ების სოციალისტური შეჯიბრება

საქართველოს სს რესპუბლიკის მტს-ები მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ვალდებულება იკისრეს მარცვლეულ კულტურათა მტკიცე მოსავალს მიაღწიონ წელს და ჰექტარზე სულ ცოტა 12-13 ცენტნერი მოიყვანონ, ყოველ მხრივ გაუმჯობესონ მანქანა-ტრაქტორების პარკის ექსპლოატაცია.

საქართველოს სს რესპუბლიკის მტს-ებმა თავიანთ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მტს-ები.

შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის და მიმდინარეობის აღსარიცხავად საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომთან შეიქმნა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს სახალხო კომისარი ამხ. ხოშტარია. საქართველოს მტს-ების იმ მუშაკთათვის, რომელნიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ შეჯიბრებაში, გამოყოფილია მთელი რიგი პრემიები: ხანგრძლივი საწარმოო მივლინება მოსკოვს, ხარკოვსა და როსტოვს, მოტოციკლები და სხვ. (საქდესი).



სსრ კავშირის პავილიონი საერთაშორისო გამოფენაზე ნიუ-იორკში. არქიტიკის დარბაზის შიგნითი ხედი.

საკადესის ფოტოქრონიკა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ქართულ ენაზე

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა თავისი მუშაობის დაწყებიდან, 1933 წლიდან გამოუშვა მარქსიზმ - ლენინიზმის მთელი რიგი ნაწარმოებები.

ქართულ ენაზე უკვე გამოვიდა ვ. ი. ლენინის ორტომეულის მეორე ტომი და თხზულებათა სრული კრებულის ოთხი ტომი (VI, XII, XIX და XXII), აგრეთვე 13 ცალკეული შრომა: „რა ვაკეთოთ?“, „სოციალ - დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „ნაციონალური საკითხი“ და სხვ.

გამოიცა ი. ბ. სტალინის „ლენინიზმის საკითხები“ და 24 შრომა: „პურის ფრონტზე“, „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“ და სხვ. იმელმა გამოსცა წიგნები: „ლენინი და სტალინი ახალგაზრდობის შესახებ“, მეორე გამოცემა ფ. ენგელსის წიგნისა „ოჯახის, კერძოს საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“.

ამას გარდა, იმელმა გამოუშვა რამდენიმე წიგნი და ბროშურა, რომლებიც მიძღვნილია საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოებული რევოლუციური ბრძოლის ისტორიისადმი. ამ წიგნების რიცხვს ეკუთვნიან: „კრებული მასალებისა და დოკუმენტებისა ლადო კეცხოველის შესახებ“, მ. გორკი „კავკასიის ამბების შესახებ“, კრებული „ამიერკავკასიის ბოლშევიკები ნაციონალკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ და ხაშაპურიძის წიგნი „ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის საქართველოში“.

ძირითად გამოცემათა ტირაჟი 10.000 ცალს შეადგენს.

ამჟამად იმელი მუშაობს იმისათვის, რომ 1939 წელს გამოსცეს ვ. ი. ლენინის თხზულებათა ის ტომები, რომლებიც ქართულად ჯერ არ გამოცემულა, აგრეთვე კ. მარქსის წიგნები „ფილოსოფიის სილატაკე“, „ზედმეტი ღირებულების თეორია“, ფ. ენგელსის წიგნი „ბინების დიალექტიკა“ და სხვ. (საქდესი).

ცილისმწამებელი გარიცხულია პარტიიდან

„როგორც სჩანს, — სთქვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა ჟდანოვმა ცილისმწამებელთა შესახებ, — სობაკევიჩის ბადიშების ბადიშებმა ჩვენს დრომდეც მოაღწიეს, ალაგ-ალაგ პარტიაში შეძვრნენ. საჭიროა ავიღოთ რაც შეიძლება მაგარი ცოცხი და ჩვენი პარტიული სახლიდან გავხვეტოთ ამგვარი ნაგავი“.

ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო საბჭოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტორგმა პ. დ. ცანავამ ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ საზიზღარი ცილისმწამებლური ბრალდებები შეთითხნა.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვა - ავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭო კარგად მუშაობდა და ამისათვის მას გარდამავალი დროშაც კი ჰქონდა მიღებული, ცანავამ მაინც მოახერხა ბრალი დაედო ხინთიბიძისათვის მუშაობის ჩაშლაში, თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო საბჭოს აპარატის კლასობრივად უცხო ელემენტებით დანაგვიანებაში, კომუნისტების დევნაში, სახელმწიფო სახსრების განიავება-მითვისებაში და ხალხის მტრებთან კავშირში.

ცანავა ტერორს მიმართავდა პარტიის რიგითი წევრების წინააღმდეგ, აიძულებდა მათ დაეწერათ განცხადებანი ხინთიბიძის როგორც ხალხის მტრის სამხილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა პარტიიდან გარიცხვით. ასეთი ოინებით ცანავამ მიაღწია პარტიიდან ამხ. ხინთიბიძის გარიცხვას. ცილისმწამებელი ამაზე არ შეჩერებულა. გამოაცხადა რა ამხ. ხინთიბიძე ხალხის მტრად, მის „კუდებად“, „კუდის რიკებად“ და აგენტებად მონათლა ტირის მოლარე — 20 წლის ქალიშვილი შ. ბ. ნემსაძე, შემნაქნე ქეთო შენგელია, ამხ. ჭანტურია, ჭუმბურიძე, ქათამაძე, დარჩია და სხვები.

ამ ცილისწამების შედეგად ამხ. ხინთიბიძე 1937 წლის 26 ივლისიდან 1938 წლის დეკემბრამდე უმუშევარი იყო, ხოლო 1938 წლის 11 ოქტომბერიდან ამავე წლის 9 მაისამდე დაპატიმრებული იყო. ამხ. ჭანტურია, ნემსაძე და სხვები კი სამუშაოდან იქნენ მოხსნილი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის საქ. პარტკოლეგიამ, შეისწავლა რა აღნიშნული მასალები, ამხ. ხინთიბიძე სრულიად უდანაშაულოდ და აღადგინა პარტიის რიგებში, ხოლო ცანავა, როგორც საზიზღარი ცილისმწამებელი, რომელიც შეეცადა მიეჩქმალა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, პარტკოლეგიის დადგენილებით, გარიცხულია პარტიიდან და გადაეცა საქ. სს რესპუბლიკის პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

ა. ყვავაძე

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის საქ. პარტკოლეგიის გამომძიებელი.

სამტრედიის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

სამტრედია, 5 მაისი (ტელეფონით საკ. კორ.). სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს თესვისა და სხვა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები.

მთლიანად შესრულებულია სიმინდის თესვის გეგმა 8.130 ჰექტარზე; სამყურას თესვის გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით, კარტოფილისა — 126-ით, ვაზის მყნობისა — 165-ით, ხეხილის ბაღის გაშენების და ბაღჩეულ კულტურათა თესვისა — 116-ით. ევკალიპტი 60.000 ძირის ნაცვლად დარგულია 71.000 ძირი. წარმატებით იქნა შესრულებული აგრეთვე არახისის, პერილას, ლუფის და სხვა კულტურათა თესვის გეგმები.

რაიონის კოლმეურნეობები ამჟამად გაცხოველებით ემზადებიან სიმინდის თოხნისა და საერთოდ ნათესების დამუშავებისათვის.

გ. სიხარულიძე

დაიწყო ჩაის მასობრივი კრეფა

ჩხოროწყუ, 5 მაისი (ტელეგრაფით). ჩხოროწყუს რაიონში 4 მაისიდან დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის მასობრივი კრეფა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მომზადებული შეხვდნენ სეზონს. კრეფის წარმატებით ჩატარებისათვის ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება.

ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველები ხლინცოვა, ლავრილოვა და სხვები ნორმით გათვალისწინებული 11 კილოგრამის ნაცვლად დღეში 40-50 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჭკრეფენ.

კ. დგებუაძე

ფრიადოსნების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესების თანახმად, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომელთაც აქვთ ფრიადოსნის მოწმობა, უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მიიღებიან.

ეს უფლება ვრცელდება იმათზედაც, ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა ექსტერნატის წესით.

ის პირები, რომლებმაც 1939 წელს დაამთავრეს მუშფაკი და ყველა საგანში აქვთ ნიშანი „ფრიადი“ (ხაზასა და ხატვაში შეფასების მიუხედავად), უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოდ.

უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს წინადადება აქვთ მიცემული გამოჰყონ ფრიადოსნებისათვის ვაკანტური ადგილების 60 პროცენტი.

საშუალო სასწავლებელთა ფრიადოსნები, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ შესვლის უფლება ენიჭებათ, საამშენებლო, სამხატვრო და არქიტექტურულ უმაღლეს სასწავლებლებში და ფაკულტეტებზე შესვლისას გამოიცდებიან ხატვასა და ხაზვაში. ისინი, ვინც კინემატოგრაფიის, ფიზიკური კულტურის, მუსიკალურ და თეატრალურ სკოლებში შედიან, გამოიცდებიან სათანადო სპეციალობის მიხედვით.

სსრ კავშირი ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენაზე*

გ. ტიხომიროვი

ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა ნაწილის კომისარი

30 აპრილს ნიუ-იორკში იხსნება საერთაშორისო გამოფენა, რომელიც მოეწყო ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტად გეორგ ვაშინგტონის არჩევის 150 წლისთავის აღსანიშნავად. გამოფენის ოფიციალური თემაა „ხვალინდელი დღის მსოფლიოს მშენებლობა“.

ჩვენს პრესაში უკვე გამოქვეყნებული იყო ცნობები, თუ რა მასშტაბისაა ეს გამოფენა და რა ქვეყნები ღებულებენ მასში მონაწილეობას. ამჟამად გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა რამდენადმე შემცირდა. როგორც ცნობილია, მასში მონაწილეობას არ იღებს გერმანია, ვითომდა ეკონომიური მოსაზრებებით. საკუთარი საბაბებით გასაგები მიზეზების გამო წარმოდგენილი არ იქნებიან ჩინეთი და ესპანეთი.

ბევრმა ქვეყანამ, რომელსაც განზრახული ჰქონდა საკუთარი პავილიონები აეგო, ბოლოსდაბოლოს ამაზე უარი განაცხადა. ისინი დაკმაყოფილდნენ პატარა სადგომებით, რომლებიც საგამოფენო კორპორაციამ დაუთმო მათ ეგრეთწოდებულ „ერების პავილიონში“.

60 სახელმწიფოდან საკუთარი პავილიონები მხოლოდ 20 ქვეყანას ექნება. ყველაზე დიდი ნაგებობანია სსრ კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და იტალიის პავილიონები.

ნიუ-იორკის გამოფენა, ისევე, როგორც პარიზში 1937 წელს მოწყობილი გამოფენა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უდიდესი კაპიტალისტური ფირმების ეკონომიურ ინტერესებს ემსახურება. გასაკვირველი არ არის, რომ ამერიკის პრესაში სულ უფროდაუფრო ხშირად ანგარიშობენ იმ შემოსავალს, რომელიც გამოფენამ უნდა მისცეს ამ ფირმებს. საგამოფენო კორპორაცია, თავისი პრეზიდენტის გროვერ უელენის სახით, დიდ იმედებს ამყარებს გამოფენაზე. მისი ბრუნვა დაახლოებით 10 მილიარდი დოლარით გამოიხატება, რამაც, გამოფენის მომწყობთა აზრით, ამერიკის ეკონომიკა და კულტურა, ვუჩვენოთ მათ სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ მიერ მოპოვებული მიღწევები, ჩვენი სოციალისტური და სახელმწიფოებრივი წყობილება.

საბჭოთა პავილიონის შესავალი დარბაზი მოკლედ მოუთხრობს ბიმსვლელთ, თუ როგორ მოიპოვეს მუშებმა და გლეხებმა ძალაუფლება საბჭოების ქვეყანაში. ამ დარბაზში დაიდგმება ლენინისა და სტალინის ქანდაკებანი, რომლებიც გაკრიალებული მთლიანი გრანიტისაგან არის შესრულებული ს. დ. მერკუროვის მიერ. თვითეული ფიგურის სიმაღლე 3½ მეტრია. დარბაზი მორთულია უზარმაზარი მხატვრული პანოთი, რომელზედაც გამოსახული არიან საბჭოების ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, და ოთხი დიდი სურათით: „დემონსტრაციის დახვრეტა ზამთრის სასახლესთან 1905 წელს“ (მხატვარ ვლადიმიროვისა), „ოერინის ბიტანა ზამთრის სასახლეზე“ (მხატვარ კუზნეცოვისა), „ლენინის ჩასვლა პეტროგრადში 1917 წელს“ (მხატვარ სეროვისა) და „სტალინი ცარიცინის ფრონტზე“ (მხატვარ სოკოლოვ-სკალისა). პანო, რომლის სიდიდე 180 კვადრატულ მეტრს უდრის, შესრულებულია მხატვართა ბრიგადის მიერ ეფანოვის ხელმძღვანელობით. უეჭველად გამოიწვევს მიბსვლელთა უდიდეს ინტერესს სსრ კავშირის რუკა, ფერადი ქვებით შესრულებული. იგი საგრძნობლად გადიდებული და დაზუსტებულია იმ რუკასთან შედარებით, რომელიც ნაჩვენები იყო საბჭოთა პავილიონში პარიზის გამოფენაზე.

პავილიონის შემდეგი დარბაზი მიძღვნილია ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი, სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური შრომისადმი. აქ ნაჩვენები იქნება სსრ კავშირის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობის ცვლილება, სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური საფუძველი, საბჭოების არჩევნების სისტემა, დაგეგმვის როლი და მნიშვნელობა სსრ კავშირში, ჩვენი მრეწველობის ზრდა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, სსრ კავშირის ადგილი მსოფლიო მეურნეობაში. მრავალფეროვანი ექსპონატები თვალსაჩინოდ უჩვენებენ, რომ საბჭოთა წყობილება ერთადერთი წყობილებაა მსოფლიოში, რომლის დროსაც ყველაფერი ცოცხალი ადამიანისათვის ზრუნვას ემორჩილება, რომ სსრ კავშირში შრომა დიდებით არის მოსილი და რომ ჩვენი წყობილება ყოველგვარ საშუალებას აძლევს მოქალაქეებს შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

მაგნიტოგორსკის ქარხნის დიდი მექანიზებული მაკეტი უჩვენებს ჩვენი სოციალისტური ნრეწველობის ზრდას. იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სრული წარმოდგენა მივცეთ სოციალისტური საწარმოს ცხოვრებაზე, ჩვენ ექსპონატად მიგვაქვს აგრეთვე მაგნიტოგორსკის კომბინატის კულტურის სახლის მაკეტი, ვუჩვენებთ მუშათა შრომასა და ყოფაცხოვრებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცოლვაწვეობას საწარმოში, გავაშუქებთ ქარხნის ხელმძღვანელებისა და მისი საუკეთესო სტახანოველების მუშაობას.

სოფლის მეურნეობის განყოფილება იწყება სტენდით, რომელიც უჩვენებს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველებს.

სოფლის მეურნეობის განყოფილების ექსპონატები უჩვენებენ ახალ საბჭოთა სოფელს, საკოლმეურნეო სისტემის როლს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საბჭოთა სოფლის კულტურის მძლავრ აყვავებას. აქ ჩვენ ვუჩვენებთ ერთი კოლმეურნეობის—ეორონეკის ოლქის ილიჩის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ცხოვრებას, იმ კოლმეურნეობისა, რომელმაც თავისი არსებობის ათი წლისთავი იდღესასწაულა. ამ განყოფილების დამთვალიერებლები გაეცნობიან აგრეთვე გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების, სოფლის ნეურნეობის რეფორმატორების — ი. ვ. მიჩურინის, ნ. ვ. ციცინის, ტ. დ. ლისენკოს შრომებს.

დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის განვითარების ჩვენებას.

დამთვალიერებლები ნახავენ დნეპრჰესის (ნატურალური სიდიდის 1/400) და კუიბიშევის ჰიდროკვანძის იმ კაშხალის მექანიზებულ მაკეტებს (ნატურალური სიდიდის 1/500), რომელიც ახლა შენდება. მექანიზებული რუკა დამთვალიერებელს გააცნობს დიდი ვოლგის მთელ პრობლემას. დიდ ელექტროფიცირებულ რუკაზე ნაჩვენები იქნება რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის ზრდა და განვითარება.

პავილიონის ერთერთი დარბაზი ნიძღვნილია სსრ კავშირის მშრომელთა კულტურისა და დასვენებისადმი. აქ ნაჩვენები იქნება სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა მშრომელებისათვის, განათლებისა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ფიზკულტურა, დედასა და ბავშვისათვის ზრუნვა საბჭოების ქვეყანაში. კურორტების — სოჭის, კისლოვოდსკის, ბოროვოის, „არტეკის“ დიდი ლამაზი პანორამები მოგვითხრობენ შრომელთა დასვენებაზე. ყველას შეუძლია თვალსაჩინოდ დარწმუნდეს იმაში, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას მსოფლიოში, სადაც ადამიანი დოლარებად და სტერლინგებად კი არ ფასდება, არამედ აღიარებულია ყველაზე ძვირფას კაპიტალად მსოფლიოს ყველა კაპიტალთა შორის.

ერთერთ დარბაზში აღმართულია საბჭოების სასახლის დიდი მოდელი ნატურალური სიდიდის 1/75 ოდენობისა, კვარციტის 117 ათასი ნაკვეთით მომარაკეთებული. აქვე დარბაზში ნაჩვენები იქნება მეტროს „მაიაკოვსკის მოედნის“ სადგურის მოდელი ნატურალური სიდიდისა და ახალი მოსკოვის ელექტროფიცირებული რუკა.

ხელოვნების განყოფილებაში დამთვალიერებლები გაეცნობიან ჩვენი საუკეთესო მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებას. ჩვენი თეატრალური დადგმების საჩვენებლად მოწყობილია დიდი მექანიზებული მაკეტები („ბატეხილი ყამარი“ დიდ თეატრში, „მიწა“ — სამხატვრო თეატრში, საქართველოს, უზბეკეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების თეატრების დადგმები).

მეცნიერების, ლიტერატურისა და პრესის დარბაზის ცენტრში დიადგმება მერკუროვის დიდი გრანიტის ქანდაკება „ლენინი მუშაობს“, რომელიც გაკეთებულია მოკრიალებული გრანიტისაგან. ამავე დარბაზში დამოფენილი იქნება ა. მ. გორკის ქანდაკება, ვ. ი. მუხინას მიერ შესრულებული, და ორი სურათი— „ლენინი და გორკი“ ვ. ეფანოვისა და „სტალინი და გორკი“ ა. გერასიმოვისა. დიდ სტენდზე გაფოფენილი იქნება მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ძირითადი ნაშრომები. სპეციალური სტენდი აქვს დათმობილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სამხატვრო და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობებს. სხვადასხვა მასალები დამთვალიერებელს გააცნობენ პრესის როლსა და მნიშვნელობას საბჭოთა კავშირში, დაწყებული კედლის გაზეთებით და გათავებული ცენტრალური ორგანოებით — „პრავდითა“ და „იზვესტიით“, ჩვენი გაზეთების ტირაჟის უდიდეს ზრდას.

პავილიონის გვერდით გამოფენილი იქნება ნატურით დიდი მფრინავის ვ. პ. ჩკალოვის თვითმფრინავი, რომლითაც იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაფრინდა, და „ჩრდილოეთის პოლუსის“ მოდრეიფე სადგურის კარავი.

საბჭოთა კავშირს დათმობილი აქვს აგრეთვე მცირე ნაკვეთი, ზომით 250 კვ. მეტრი, „ერების პავილიონში“. ამ ნაკვეთზე ჩვენ ვუჩვენებთ სსრ კავშირის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას. სპეციალური რუკის საშუალებით დამთვალიერებელი გაეცნობა სსრ კავშირის ადმინისტრატიულ დაყოფას, საგანგებო სტენდის საშუალებით — საბჭოებს, როგორც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძველს. ამავე დარბაზში მოთავსებული იქნება ვ. მ. მოლოტოვისა და მ. ი. კალინინის ქანდაკებანი, პანო, რომელიც გამოჰხატავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომას. მთელი განყოფილება შემკული იქნება საბჭოთა კავშირის ღერბებით, რომლებიც ფერადი ქვებისაგან არის დამზადებული.

პავილიონის დამთვალიერებლებისათვის დამზადებულია მთელი რიგი გამოცემანი: მხატვრული ალბომები, სპეციალური ბროშურები, სუვენირები, ღია ბარათები.

*) სტატია დაწერილია გამოფენის გახსნამდე. **რედ.**

ბოლშევიზმის ისტორიული კერები თბილისში

პროფესიონალ-რევოლუციონერის ბინაზე

ბოლშევიზმის გმირული წარსულის ეს შესანიშნავი ეპიზოდი მოხდა ყოფილ გონჩარის ქუჩაზე მდებარე № 18 სახლში. ამ სახლში, ცნობილი პროფესიონალ-რევოლუციონერის მ. ბოჭორიძის ბინაზე ცხოვრობდა ი. ბ. სტალინი 1904—1905 წლებში. აქ ამხანაგი სტალინი ამზადებდა მასალებს კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს — „პროლეტარიატის ბრძოლისათვის“, სწერდა სტატიებს, ბროშურებს, ფურცლებს, პროკლამაციებს, მოწოდებებს, ამზადებდა გამოსაცემად ამიერ-კავკასიის ხალხების ენებზე ვ. ი. ლენინის სტატიებს, რეზოლუციებს, ფურცლებს და სხვა პოლიტიკურ ლიტერატურას. ყველაფერი ეს იბეჭდებოდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში.

ამავე ბინაზე ამხანაგი სტალინი ასწორებდა პირველ ანაბეჭდებს და უკეთებდა მათ რედაქციას. 1904—1905 წლებში მ. ბოჭორიძის ბინაზე ამხანაგი სტალინი ხშირად იწვევდა კავკასიის კავშირის კომიტეტის სხდომებს და თათბირებს.

1906 წელში ერთხელ, გვიან ღამით, როდესაც ამხანაგ სტალინს ეძინა ბოჭორიძის ბინაზე, უეცრად გაჩნდა ჟანდარმერია (ეძებდნენ ცნობილ მუშა პროფესიონალ-რევოლუციონერს გ. თელიას, მისი დაპატიმრების მიზნით). ამ ამბის მოწმე, მ. ბოჭორიძის ნათესავი ძველი რევოლუციონერი ქალი ბაბე ბოჭორიძე თავის მოგონებებში სწერს: „იმ დროს ჩვენთან იმალებოდა ციხიდან ახლად გამოქცეული გ. თელია. სოსო ჩვენ მოვათავსეთ წინა ოთახში. შუაღამისას გვესმის კაკუნი: „გააღეთ კარები“, ყვირის გოროდოვი. დაგვეხა მთელი ჟანდარმერია, მოვიდნენ პრისტავი (მერვე უბნის) და გოროდოვები, გაჩხრიკეს ბინა, წაიღეს წიგნები, მივიდნენ სოსოსთანაც. სოსო საერთოდ იყო ფერმკრთალი და გამხდარი, მას თავი შეხვეული ჰქონდა, ისე რომ ჩვენს ლამფის უკანა მხარეს შუქზე ისე გამოიყურებოდა, როგორც ავადმყოფი. ჟანდარმები საქმეს უჭირვებდნენ მას, უსასრულოდ აძლევდნენ შეკითხვებს, მაგრამ სოსო არაფერზე არ უპასუხებდა. მაშინ მერვე უბნის პრისტავმა მიმართა ჟანდარმებს: „ვერ ხედავთ, ადამიანი ავადაა, რას აწვალებთ?“ ასე დააღწია სოსომ თავი დაპატიმრებას, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ჟანდარმები ისევ მოვიდოდნენ. სოსო წამოდგა საწოლიდან, აკრიფა თავისი ნივთები და ის გააცილეს (მგონი სვანიძესთან) მარომ*) და მეზობელმა პელაგია წიკვაძემ, რომლებიც მასთან მუშაობდნენ. როდესაც სოსო წავიდა, მე შევედი მის ოთახში და დავკეტე გასაღებით კარი, რომელიც შემოდის მისი ოთახიდან. შემდეგ ისევ ჩავწექი. ვხედავ, ისმის ოსი გოროდოვის ალექსეის ხმა: „გააღეთ კარი“... „რა უმსგავსოებაა. — აღვშფოთდით მე და ჩემი და ნინო, — რატომ არ გვაძლევთ მოსვენებას?“ — სად არის ავადმყოფი? გააღეთ ეხლავე კარი, — მოითხოვდა გოროდოვი. — ავადმყოფი თავის ოთახშია. კარი დაკეტილია მის ოთახში. განა ის იქ არ არის? — ვეკითხები მე.

ისევ მოგვაწყდნენ ჟანდარმები. სოსოს ოთახიდან ჩვენი შემოსასვლელი კარი გააღო თვითონ პრისტავმა და ჩვენ მივიღეთ გაკვირვებული სახე, რომ არ აღმოჩნდა სოსო. მე დავიწყე ყვირილი, რომ ის ადამიანი იქ იყო და ეხლა კი არ არის, ამასთანავე ვცდილობდი ავეღელვებულიყავ რაც შეიძლება მეტად... და ვბრაზობდი, როგორც კი შემეძლო. ბოლოს ისინი წავიდნენ. ასე დააღწია სოსომ თავი დაპატიმრებას“.

ეს ისტორიული სახლიც დაცულია ახლა. იგი წარმოადგენს ერთ ერთ შესანიშნავ ადგილს.

*) მარო ბოჭორიძე, მიხა ბოჭორიძის და, გარდაიცვალა 1930 წელში.

ყოფილ ორთაჭალის უბანში

ნახევრად დანგრეული პატარა სახლები, ტალახით შელესილი კედლებით, ბინძური ქუჩები, უსინათლობა, სიღატაკე — აი როგორი იყო ორთაჭალელთა ხვედრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმმა ქალაქის ამ მიყრუებულ უბანს — ორთაჭალასაც მიაგნო. აშენდა ფაბრიკები, ქარხნები და სახელოსნოები. აქ გაჩნდნენ მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა, ზეთის და საპნის ქარხნები და სხვ. აქ ჰფლობდა ფეხსაცმლის ფაბრიკასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებს (ტყავის, ფეხსაცმლის, ჯარისკაცთა ტანსაცმლის და სხვ.) ცნობილი კაპიტალისტი ადელხანოვი.

ფაბრიკებისა და ქარხნების გაჩენასთან ერთად გაჩნდნენ მუშები. წვრილი საწარმოები ჩაყლაპეს ფაბრიკებმა და ქარხნებმა, ხოლო წვრილ ხელოსანთა უმრავლესობა შეუერთდა მუშათა კლასს. ქალაქის სხვა უბნებთან (ავლაბარი, შავსოფელი, ძაღლის-უბანი) ერთად ორთაჭალაშიც დასახლდნენ მუშები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში აქ ადელხანოვის ფაბრიკაში მუშად მუშაობდა ი. ბ. სტალინის მამა—ბესარიონ ივანეს-ძე ჯუღაშვილი — სოფ. დიდი ლილოს გლეხის შვილი.

1873 — 74 წლებში ბესარიონ ივანეს-ძე ჯუღაშვილი მიიწვია გორში ფეხსაცმლის სახელოსნოს მფლობელმა ბარამოვმა, როგორც საუკეთესო ხელოსანი. ბესარიონ ჯუღაშვილი მალე გახდა ყველასათვის ცნობილი მთელს გორში, როგორც „ოქროს ხელიანი“ ხელოსანი.

1898 წელს ადელხანოვის ფაბრიკის მოწინავე მუშებს გაეცნო და დაუახლოვდა ი. ბ. სტალინი, დაამყარა მათთან მჭიდრო კავშირი და ჩამოაყალიბა არალეგალური სოც.-დემ. მუშათა წრე, რომლის მუშაობას თვითონ ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

აღნიშნულ წრეში შედიოდნენ: იაგორ ნოზაძე (რიყა იაგორა), იოსებ უსანაშვილი, სიმონ ზოიძე, დავით ჩუტლაშვილი, შაქრო რევაზოვი და სხვ.

1898 წელს ი. ბ. სტალინმა ჩამოაყალიბა სოც.-დემ. მუშათა წრეები ამავე რაიონის სხვა საწარმოებში (მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა, ტოლეს ზეთის ქარხანა, კერძო სახელოსნოები და სხვ.) ამ წრეების მუშაობას ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. 1898-1899 წლებში ამ რაიონის სოც.-დემ. მუშათა წრეების კრებებს ი. ბ. სტალინი იწვევდა შავსოფელში მუშა შ. მაილოვის ბინაზე, ორთაჭალის ბაღებში, კრწანისში, ხოჯევანქის სასაფლაოზე და სხვ. ადგილებში.

1898-1901 წლებში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ეწყობა ადელხანოვის და მირზოევის ფაბრიკების, ტოლეს ზეთის ქარხნის და სახელოსნოთა მუშების გაფიცვები. გაფიცული მუშების მოთხოვნები მუშავდებოდა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებისათვის ი. ბ. სტალინი სწერს პროკლამაციებს, ფურცლებსა და მოწოდებებს, აწყობს მათს დაბეჭდვასა და გავრცელებას მუშებს შორის.

1899-1900 წლებში საპირველმაისო მიტინგებში, რომლებიც მოეწყო ქალაქგარეთ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადელხანოვის და მირზოევის ფაბრიკის და აგრეთვე ტოლეს ქარხნის მუშებმა.

1901 წელს გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციაში ი. ბ. სტალინის მიერ გამოწვრთობილი ორთაჭალელი მუშები დემონსტრანტთა პირველ რიგებში იყვნენ.

1904-1906 წლებში ი. ბ. სტალინი ხშირად გამოდიოდა ადელხანოვის და მირზოევის ფაბრიკებისა და ტოლეს ქარხნის მუშათა სადისკუსიო კრებებსა და მიტინგებზე, ნიღაბს ჰხდიდა მეფისა და ბურჟუაზიის დამჭაშებს — მენშევიკებს, დაშნაკებს, ფედერალისტებს, ანარქისტებს, მოუწოდებდა მასებს გაბედული საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისაკენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის დასამხობად.

ამჟამად ორთაჭალა (კიროვის რაიონი) ქალაქის ერთერთი საუკეთესო უბანია. მის მიდამოებს ამშვენებს ახალი სამსართულიანი მუშათა საცხოვრებელი სახლები, მოასფალტებული ქუჩები, სკოლები, ლამაზი ბაღები. სიბინძურე, უსინათლობა, მტვერი და ტალახი წარსულს ჩაბარდა.

ყოფილი ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა, სადაც 1898-1906 წლებში ი. ბ. სტალინი რევოლუციისათვის აწრთობდა მოწინავე მუშებს, ამჟამად ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს.

ფაბრიკის შენობას ამხ. ლ. ბერიას ინიციატივით გაკეთებული აქვს მემორიალური დაფა.

1898-1900 წლების პერიოდში თბილისის ცენტრალურმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა უდიდესი რევოლუციურ-პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა შეასრულა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციის შესაქმნელად; ცენტრალური პარტიული ჯგუფის წევრები ინტენსიურ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ, თვითეული მათგანი მუშათა წრეებს ხელმძღვანელობდა. მარტო ამხანაგ სტალინს რვაზე მეტი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე ჰყავდა...

თბილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეათა პროპაგანდასთან ერთად, ხელმძღვანელობდა თბილისის პროლეტარიატის გაფიცვებს და პოლიტიკურ ბრძოლას.

1898 წელს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში პირველად ეწყობა დიდი გაფიცვა; შემდეგ 1900 წლამდე მოეწყო და ჩატარდა მთელი რიგი დიდი გაფიცვები ბოზარჯიანცის ფაბრიკაში, კონკაზე, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში, სტამბებში და სხვ., მოეწყო აგრეთვე თბილისის მუშათა მთელი რიგი მაისობანი და დემონსტრაციები. უმთავრესად ამხანაგების სტალინის, კეცხოველის და მოწინავე მუშათა მეცადინეობით ეწყობა ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალური ბეჭდვა და მათი გავრცელება თბილისის მუშებს შორის, აგრეთვე ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში.

ლ. ბერია

ეს იყო თბილისის ყოფ. „კონკის“ პარკთან

აუტანელი იყო „კონკაზე“ მომუშავეთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა. მკაცრი ექსპლუატაცია სულს უხუთავდა ისედაც სიდუხჭირეში მყოფ მუშებს.

1898-99 წლებში „კონკის“ მუშები 13 საათიან სამუშაო დღეში ღებულნენ 90 კაპეიკიდან — მანეთამდე; ამავე დროს ხელფასის დიდი ნაწილი მიდიოდა ჯარიმების დასაფარავად. სხვათა შორის აქ ჯარიმები ეპიდემიასავით იყო გავრცელებული. საკმარისი იყო სულ უმნიშვნელო საბაბი, რომ მუშა დაეჯარიმებინათ. აჯარიმებდნენ „სწრაფად სვლისათვის“, „ნელი სვლისათვის“, „გაუფრთხილებელი სვლისათვის“ და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ასეთი „ფორმულირებები“ ცხვებოდა „კონკის“ კანტორის აღვირახსნილი ჩინოვნიკების მიერ.

ასეთი სისტემის შედეგად 1899 წელში 15 დღის ნამუშევარი საშუალოდ არ აღემატებოდა 15 მანეთს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 5 მუშამ მიიღო თითომ 15 მანეთი, 476 მუშამ მანეთიდან — 10 მანეთამდე და 21 კაცმა მანეთზე ნაკლები.

მხეცურად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც ხმას აღიმაღლებდა ამ აღმაშფოთებელი სისტემის წინააღმდეგ. აწამებდნენ მუშებს, ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდნენ მათ, ციმბირში ასახლებდნენ და საპყრობილეებში ათავსებდნენ, ვინც ჯარიმების წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა.

ხელფასის სისტემატურად შემცირება და ეს მძიმე მდგომარეობა, რომელიც დღითიდღე უფრო აუტანელი ხდებოდა, უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში. „კონკის“ მუშებში საკმარისად იყო შექმნილი პირობები პოლიტიკური აგიტაციის გასაჩაღებლად კაპიტალისტების წინააღმდეგ, ცარიზმის წინააღმდეგ.

თბილისის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი **ი. ბ. სტალინი,** 1898-1899 წლებში „კონკის“ მუშებში შეჰქმნა მძლავრი სოც.-დემოკრატიული წრე. ამ წრეს ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლადო კეცხოველი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი ჯგუფის გადაწყვეტილებით 1900 წლის 1 იანვარს გამოცხადებული იყო „კონკის“ მუშების პირველი გაფიცვა. გაფიცვის წინ „კონკის“ მუშებში ამხანაგების ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის მეთაურობით ჩატარდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ამხანაგ ი. სტალინის დავალებით ლ. კეცხოველი გაფიცვის წინადღეებში სისტემატურად აწყობდა ფარულ კრებებს „კონკის“ მუშების ბინებზე. ასეთი კრებები ლ. კეცხოველმა ჩაატარა დიდუბის რაიონში, ქალაქს გარეთ და სხვა უბნებში. ამხ. კეცხოველი ხშირად გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით ცარიზმის წინააღმდეგ.

გაფიცვის წინ ამხ. ლ. კეცხოველმა შეარჩია მოწინავე მუშები, რომლებსაც მიანდო მუშების კრებაზე „კონკის“ ადმინისტრაციისადმი წაყენებულ მოთხოვნათა მიღება.

როგორც ცნობილია, „კონკის“ დირექტორმა რობბმ უარი განაცხადა მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამის საპასუხოდ „კონკის“ მუშებმა ახალწლის პირველ დღეს მოაწყეს გაფიცვა. არცერთი ვაგონი არ გამოსულა ქალაქში სამუშაოდ. შეშფოთებული ხელისუფალნი შეეცადნენ ძალით გამოეყვანათ მუშები და აღედგინათ მოძრაობა, მაგრამ ძალამ ვერ გასჭრა... გაფიცული მუშები მოგროვდნენ პარკის წინ. ლ. კეცხოველი, ს. წულუკიძე, ჩოდრიშვილი, ბოჭორიძე, ვ. სტურუა და სხვ. იმყოფებოდნენ პარკის მახლობლად და იქიდან აძლევდნენ მითითებებს. როდესაც პოლიციამ აამოქმედა მთელი ძალა, როდესაც გაფიცულთა შორის ძატრიალდა ჟანდარმერია, ამ დროს გამოჩნდა ლ. კეცხოველი, რომელმაც გაბედული სიტყვით გაამხნევა მუშები და მოუწოდა მათ არ წასულიყვნენ დამობაზე. იმედგაცრუებული პოლიციის და ჟანდარმერიის აგენტები თვითონვე შეეცადნენ ვაგონების გამოყვანას, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ყოველივე ამის შედეგად დაპატიმრებულ იქნა 150 კაცი, მაგრამ ვერც პატიმრობამ გასტეხა მუშები.

„კონკის“ მუშებმა მაინც გაიმარჯვეს. ადმინისტრაცია იძულებული გახდა შეემცირებინა სამუშაო დღე, გაედიდებინა ხელფასი, დაეწესებინა ორცვლიანი მუშაობა, საექიმო დახმარება და ა. შ.

გაფიცვის შემდეგ თბილისის ჟანდარმერია გაფაციცებით დაეძებდა ლადო კეცხოველს. თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის და პირადად, ამხანაგ სტალინის დავალებით 1900 წლის დასაწყისში ამხ. ლადო კეცხოველი გაიგზავნა ქ. ბაქოში არალეგალური სტამბის მოსაწყობად.

1904-1905-1906 წლებში ი. ბ. სტალინი „კონკის“ მუშებში ხშირად ატარებდა სადისკუსიო კრებებს, რომლებზედაც იგი დაუნდობლად ამხელდა და ანადგურებდა მენშევიკების მოღალატურ ტაქტიკას და ანვითარებდა ლენინურ სტრატეგიას და ტაქტიკას.



გიორგი ლეონიძე

„ბელადის ბავშვობა და ყრმობა“

ორი თავი პოემიდან

I. იბადებოდა...

1.

იბადებოდა... ქვეყნის სიცოცხლე
თითქოს იმ აკვანს ფესვით მიება,
იბადებოდა ქალდეველ მონის,
რომის პლებეის შურისძიება!
იბადებოდა... და ისტორიამ
დაგვიანებით მაინც მოხედა, —
მზის მოქალაქე — ჰელიოპოლიტს
და ძველ ეგვიპტეს მეამბოხეთა;
ამირანს, სპარტაკს, გრაკბებს და მრავალს,
ვინც აჯანყების დროშამ მოხვეტა!

○

არისტოტელის აზრში ნასახი,
იმედი ხალხთა დაუბერები —
იუდეველის, გერმანელ გლეხის
და ინგლისელი პაუპერების,
ძველ იტალიელ ხელოსან ქარგლის,
თაბალ-მოსოხის მჭედელ-ხუროთა,
წითელ ხანძრების წითელი ქაფი
და ქარიშხალი ვისაც სწყუროდა!

○

რუსეთის ყმა და ქართველი გლები
კვლავ სხვა ათასი ბობოქარები...
ფრანგთ ქალაქების, ჰინდოთ სოფლების —
ღატაკები და ამბოკარები
დგებოდნენ... მაგრამ ითურგნებოდნენ
საკუთარ სისხლით მკერდს დაცხებული...
მხოლოდ ამბოხი უგამარჯვებო
და აჯანყება დამარცხებული!..
დაცემულ დროშათ რიცხვი ვინ სთვალოს,
მოიერიშე გმირთა კრებული?
თვითეულ ხის და ბალავარის ქვეშ
მათი სისხლია ჩაფსკერებული!..

2.

შოლტის, სახრისქვეშ ყმა მოლუნული,
გლადიატორი ვეფვის მრროლელი
ხანძართმტყორცნელი აჯანყებული,
მტარვალზე ბოლმა შეურჩომელი,
აზრის მოწამე ცეცხლში დამწვარი,
მუშა გაფცქვნილი, მინდვრის მთესველი,
მონა, ბოგანო და გაყიდული, —
ყველანი იყვნენ ამ ყრმის ფესვები!..

3.

იბადებოდა... ხელთ უბრწყინავდა
ახალი მცნების სხვა ქვაფიცარი,
ათასი წლობით ათას გულებში
ნაგალობარი და ნაფიცარი...
კლასთა ბრძოლების დიდი სარდალი
ქართლის მიწაზე იბადებოდა...
ყრმა მშვენიერი იბადებოდა
არც ყრმა, არც გმირი და არც მესია.
თვით ხალხი ახლად იბადებოდა!

4.

როცა ლენინის ძმა ჩამოახრჩეს,
ლენინს სხვა დარჩა მისი ნაცვალი,
ქართლში მეორე ძმა ჰყავდა ლენინს
იქ ეზრდებოდა ძმა თანაცალი!
სჩქეფდა, ტალღასებრ იტყორცნებოდა
ნათელმზიერი ბავშვის ოცნება,
ჰრეკავდა მისი გულის ლითონი
ყველა ოცნების გასოცებლად...

5.

იბადებოდა ყრმა მშვენიერი,
ვინც გულს ახალი მისცა ნათება,
ვისი ხელითაც უნდა მოთავდეს
ახალი ქვეყნის მოგუმბათება!
ვინც დღეს ყველაზე დღევანდელია
და მომავალში — მარადიული...
ფოლადიანი ჩამოსხმულობით
ხალხის მწვერვალი მაღალმთიური!

6.

ეს ის დრო იყო... ლენინთან ერთად
როცა სტალინი იბადებოდა...
მათ ორ აკვანში, როცა ხალხების
თავისუფლება იბადებოდა...
კლასთა ბრძოლების დიდი სარდალი
ქართლის მიწაზე იბადებოდა...
არც ყრმა, არც გმირი და არც მესია, —
ქვეყანა ახლად იბადებოდა!...

II. ამირანის მთვარე

1

შაშვისფერი ღამე იყო
და კამეჩის ტყავზე შავი...
შაოსანი ნისლი იწვა
შავი ფიქრის დამგეშავი.
მაშინ ღამე შენაბდული
ანაზდეულ გასჭრა მთვარემ,
მოწანწალე ღრუბლის ხროვას
ხელი გაჰკრა „ვამატარე“!
კუდბაწარა შიჰქრის ნისლი,
ალარ დარჩა ერთი ცალიც,
თითქოს მწკრივად მიფრინავენ
წეროები წალიკ, წალიკ!
წინ წამოდგა ცის ვაჟკაცი
თვალადი და ნათლის მდენი,
მოამშვენა ქვეყნის ყურე —
მთის ნაჩეხი ღრანტე-კლდენი;
ზღვა ყალიბში მოკიმცმიმე
დიდმინდვრების ასი მხარი;
ტყე-სვეტნარი და გორებზე
ნასაყდრი და ნაციხარი...
ყრმა გამოჰყავთ აივანზე
ქართულ წესით ძველის-ძველით,
დაანახონ ცაში მთვარე —
უბაძველი ქვეყნის მცველი.
სიწყნარეა... მდორეებში
მტკვარი მიდის დაყოვნებით,
ცეკვავს ცეცხლში ციცნათელა
ღობეების აყოლებით...

2.

ცა გაფურჩქვნილ ვენახს ჰგავდა,
ვარსკვლავები — ოქროს გვრიტებს,
რა იქნება, რომ პაწიას
იმ გვრიტს ვინმე ჩამოჰგვრიდეს!
უმზერს ბავშვი ვარსკვლავთ საყარს,
ელაღება ცას მკლავებით:
„მზე — დედაა, მთვარე — მამა,
დები, ძმები — ვარსკვლავები“...
უხარიან სახედავი —
ცა ციაგი, ვერცხლდამდნარი
ვარსკვლავების თავყრილობით
მთვარე მთაზე წამომდგარი...
გაუჩერა ბავშვი დედამ
მთვარეს ვერცხლის ჩამომყრელსა:
— შეხე შვილო ფუფალაა
და მთვარეზე უშვერს ხელსა...
— ფუფალავ, ფუფალავ, ჩემ ბიჭთან ჩამოდი,
გეყოფა ამდენხანს ცაში ტარება,
— ფუფალავ, ფუფალავ, ჩემ ბიჭთან ჩამოდი,
დედიკო მთვარეს ემუდარება...
მაგრამ ფუფალა ძირს არ ჩამოდის
არც ყრმის, არც დედის დასახელებით;
ბავშვს გული სწყდება — მთვარეს ვერ სწვდება,
ცისკენ გაწვდილი რჩება ხელები...
ბავშვით შინ შედის დედა მწვეწარი
მან შეასრულა წესი ქართული...
გარემდგომელი და გარეწარი,
მთვარე ქათქათებს ცაში გართული,
მთვარე ქალდური და წარმართული...

3.

დედამ ცამაღალს რა შეღალადა,
რა სათხოვარის იყო მდომელი?
მან ბავშვის ტკინში ამით დაბადა
შეგნება საგნის მიუწვდომელის —
არის ტიკინა, ბურთი, ბზრიალა
და სხვა მრავალზე მრავალთაგანი,
მაგრამ, — აწ, დედამ გაუხიარა, —
რომ არის კიდევ ერთი საგანი,
რომლის ხელთგდება არ შეიძლება
არც სანახავად, არც გასართობად;
მიუდგომელი-მიუწვდომელი
დაიარება ცაში მნათობად...
ბავშვს დანატრებულს თვალთ ებურება,
თბილი კურცხალით ლოყა ეწვება;
დღეიდან ბავშვის თვითნებურებას
სილაღის ფრთები შეეკვეცება...
ხმას იშაქრავენ დედა, ბებია
ზღაპართქმულობის დასდგეს გორანი,
მათ ნაუბარში ისმის ვნებიან
ძველის ნაშთომი, ნამოგონარი:
— მთვარე ქვეყანას აძლევს მაგალითს
მთვარე მარმარა ხშირად ილევა,
დისკოს მაგიერ — ნალის, ნამგალის
დარჩება ხოლმე შთაბეჭდილება.
ხან არ სჩანს მთვარის ნაადგილევი,
აქვს ამ ცვლილებას თავისმართლება;
— მთვარე ვარ, ვმჭლდები, ვდნები, ვილევი
ხალხნო, თქვენ რაღა დაგემართებათ, —
თუ არ იქნებით შიშმორჩილებით
და თუ განგებას არ ეკრძალებით,
დაგახრჩობთ ღამე შავი ფრჩხილებით,
ყვავმაც ვერ ნახოს თქვენი ძვალები!..
მე ვაჟკაცი ვარ, განა ქალწული,
მე გეუბნებით მიწის ვაჟკაცებს,
გავჭერ ღრუბელი გამოკვანძული
და ღამე თქვენთვის შევაკაშკაშე!
მე დაგანახეთ ცის შემკულობა,
მე გზას გილამპრავთ სხივაქრჩრილი...
არ დაივიწყოთ ჩემი თქმულება, —
იყავით ჩემი რჩევის მორჩილი!..

5.

განათებულა ქართლი პირწმინდათ,
მთვარის ნათელი მთებზედ ითხევა...
დედა გადასდებს გვერდზე ჩხირწინდას,
ქმარს ჩაფიქრებით ჩაეკითხება:
— რათ ურევს მთვარე ბნელსა და ნათელს,
მუდმივ ნათელი ვგონებ გვერჩიოს?
— დროგამოშვებით მისთვის ანათებს,
რომ ხალხი ნათელს არ დაეჩვიოს!
შუქი მუდმივი რომ იყოს ქვეყნად
კაცი გახდება ღონით გრიგალი;
ცას ჩამოიღებს, რათ უნდა კვეხნა, —
ხალხის ნააზრი და ნაფიქრალი!
უფლის ხვედრია მუდმივ ნათელი,
ძალაც მისია და უკვდავება;
უარჰყო უფლის შემონათვალი
და ამირანი ჯაჭვზე დაება!
სად იალბუზი გადმოხედულა,
დიდი მთა მოსჩანს პირუდაბური,
ორი წლის წინათ უცაბედურად,
მწყემსს იქ ენახა ბღდეში დაბმული!
აურთმევია მწყემსისთვის პური,
თურმე დაკუმშა, სისხლი ადინა:
— ეგ არის საზრდო მამაპაპური,
მაგ პურის შეცვლა მქონდა წადილად!
ჩემს პურს რძე გასდის, თქვენს ნამცხვარს—სისხლი
ამის ცოდნაა ჩემი სიავე;
ადექი ხალხო, ფრთები შეისხი,
ნუღარ ხარ უფლის მონისიავე!
უხსოვარ დღიდან გიყურებ შორით,
შენზე სილაღით სცხოვრობს ბეღურა,
სიხარულის პურს ბრძოლით იმოვი!“,
სთქვა და მთა გულზე გადაეხურა.

6.

ამოიოხრა სამთავემ ხვნეშით,
არ შეიძლება ნეტავ აშვება?
და მატყლის ფთილებს ბებიას ხელში
მთვარის ფთილები ეთამაშება.
მინანქრის ნამქერს აყენებს მთვარე,
მტკვარში ბრწყინავენ მარგალიტები;
რას ფიქრობს ხალხის გული მშფოთვარე
შავი ცხოვრების მაგალითებით?
— კვნესა რათ ისმის დაგძელებული,
კაცი შავ დღეებს რისთვის ეწევა;
მიწა რათ გდია დამძევლებული,
ცას ნათლისათვის რათ ეხვეწება?
ცა რაღათ არი სულ დაკეტილი,
და თუ ნათელი ღმერთს ემეტება;
მაშ ამირანი გულთაკეთილი,
ხალხს რომ ნუგეშად ეიმედება, —
რისთვის მილურსმა უსამართლობით,
რათ არის ღმერთი ავის მდომელი?
ვინ წაიყვანოს ხალხი სარდლობით
დასაბამიდან ღამემსხდომელი?
— ხალხო ნუ კვნესი, ნუ სწყევლი ბედსა,
ვერას დაგაკლებს ბედის ქაჯობა;
თვით შენმა მიწამ „სამი ჩარექით
ცასაც და ღმერთსაც — ორთავ აჯობა!“
შენ ხომ დაბადე დიდი ტიტანი,
შენთვის მბრძოლელი, ზევსის გმობილი,
ყველა წმინდანზე დიდი წმინდანი,
და ყველა გმირზე კეთილშობილი!
შენ მას სიცოცხლე გაუხანგრძლივე,
რადგან გმირი ხარ და ახოვანი;
ვერას დააკლებს ხალხის არწივებს
ღმერთი — მხცოვანი მეციხოვანი!

7.

ბებო განაგრძობს, თუ რა მწველია
ხალხის ნარისხვი და ნაბორგალი
და ეს ამბავი ისე გძელია,
როგორც საწინდე ძაფის გორგალი...
მიჰქრის მთებისკენ ბავშვის ოცნება,
სადაც ლიახვის ქანჩახებია,
მღვრია ტალღების დაცხენოსნება
ნაპობ ნაპრალებს დასჯახებია.
ბავშვი შეზედავს დაბმულ ამირანს
კლდეს ამირანი შეჰხორცებია,
— ნეტავ გული რამ გაუყამირა,
რა ენატრება გმირს ოცნებიანს?
ოქროს კოშკიდან გაუტაცია
ოქროსთმოსანი ქალი ყამარი...:
ჰნიშნავს ყამარი — ცეცხლს და სინათლეს
მისგან ხალხია ნათამამარი!
ბავშვს ერთი უკვირს — ხალხი ძლიერი
რათ არის დაბმულ კაცის ამარი?
მაგრამ ჩილიკა ჯერ ემარჯვება,
ვიდრე მშფოთარე სულის ძიება:
თავქვეშ მიიდებს ნუკრი მარჯვენას,
დედის კალთაზე ჩაეძინება.

8.

დილა თენდება მტრედისფერული,
ჩამობარ ბუდეებს გაჰკრა ნიავმა;
მამლის ყივილზე ბნელ ქოხმახებში
მძინარე ხალხმა შეიზმიანა.
ეშურებიან დაზგებს და ქურას,
როგორც საათის ბრძანებს ისარი,
ადგება მამაც და ბავშს დახურავს,
აწუხებს თითზე ნასადგისარი...
დედა ბავშვს ჰკოცნის ჩუმი სიმღერით,
თან ქოჩორს უშლის შუბლზე ქუფრებად,
თითქოს პირველი ბალახის ღერი
გაზაფხულის მზეს ესაუბრება.
ორთქლავს ქოხებში თონის ნამცხვარი,
ამ ორთქლს მიჰყვება ხალხის ცხოვრება,
ბრძოლა ლუკმისთვის მწარე და ცხარი,
საკუთარ ჯანის განათხოვრება.
მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის ხალხმა,
რაც უკვე მის გულს დაუდგენია,
რომ ახალ ცეცხლის დამრიგებელი
უკვე წარმოშვა ხალხის გენიამ!
დილა თენდება და მზის ნაღვარი
დიდების შუქი ქოხს ეკიდება...
განა ამ ნათელს აქვს ან საზღვარი,
ან დასასრულის დათვალკიდება?

შეკითხვა ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). ინგლისის თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრ ჩემბერლენს შემდეგი შეკითხვა მისცეს: „იცოდა თუ არა ინგლისის მთავრობამ პოლონეთისათვის გარანტიების მიცემამდე, თუ რა ხასიათის იყო გერმანიის წინადადებები პოლონეთის მთავრობისადმი პოლონეთის კორიდორისა და დანციგის შესახებ, აგრეთვე ის, თუ როგორი იქნება პოლონეთის პასუხი ამ წინადადებებზე?“ უპასუხა რა ამ შეკითხვაზე, ჩემბერლენმა განაცხადა: „ინგლისის მთავრობა, რასაკვირველია, გაცნობილია ძირითად საკითხებს, რომელთა გარშემოც მოლაპარაკება სწარმოებს ორ მთავრობას შორის, აგრეთვე მან იცის, თუ რა თვალსაზრისს ადგას ორივე მთავრობა ამ საკითხებზე“.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყო მოლაპარაკება ზოგიერთი ისეთი სახის ნედლეულის გაცვლა-გამოცვლის საკითხებზე, რომელიც ორივე ქვეყანას სჭირდება სტრატეგიული რეზერვების შექმნის მიზნით.

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). თემთა პალატაში საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონპროექტის მეორედ წაკითხვის დროს გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი, რომელმაც განაცხადა: ეს კანონპროექტი სრულიად უეჭველს ხდის, რომ ინგლისის მთავრობას სერიოზულად აქვს განზრახული სავსებით მზად იყოლიოს ბრძოლისათვის ინგლისის ყველა ძალებიო.

როგორც ეს კანონპროექტი ითვალისწინებს,—განაგრძო ჩემბერლენმა,—წელს სამხედრო საქმე უნდა შეისწავლოს 200 ათასმა კაცმა, ხოლო სამი წლის მანძილზე—800 ათასმა კაცმა.

კანონპროექტი ინგლისში ვრცელდება 20-დან 21-წლამდე ასაკის ყველა მამაკაცზე, გარდა იმ პირებისა, ვინც მუდმივად ცხოვრობს ინგლისის დომინიონებში, კოლონიებში ან საქვემანდატო ტერიტორიებზე. თავისუფლდებიან ის პირები, რომელნიც 27 აპრილამდე ჩარიცხული არიან დამხმარე ან სარეზერვო ჯარში. ინგლისის მთავრობა,—დასძინა ჩემბერლენმა,—ამ კანონპროექტიდან გამორიცხავს ჩრდილოეთ ირლანდიას (ოლსტერს), რათა თავიდან აიცილოს უთანხმოება, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ინგლისის თავდაცვისუნარიანობაზე. ჩრდილოეთ ირლანდიაში, იქ არსებული მოხალისე ჯარის რაზმებს გარდა, სატანკო ნაწილი შეიქმნება.

დასასრულ, ჩემბერლენმა მოუწოდა თემთა პალატას—რაც შეიძლება მალე მიიღოს კანონპროექტი ინგლისში საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ.

იდენის გამოსვლა

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). გუშინ ლიმინგტონში (ვარვიკის საგრაფო) სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა. შეეხო რა ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკას, იდენმა განაცხადა, რომ გარემოებანი აიძულებენ მთავრობას დაუბრუნდეს კოლექტიური უშიშროების პოლიტიკას, რადგან სხვა არჩევანი მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად არ არსებობს. ეს პოლიტიკა სავსებით მტკიცედ და გადაჭრით უნდა გატარდეს. ყველასთვის აშკარაა, რომ ჰიტლერის სიტყვას, რომელიც მან გასულ კვირას წარმოსთქვა რაიხსტაგში, არავითარი ცვლილება არ შეუტანია საერთაშორისო მდგომარეობაში.

გერმანული პრესის ბოიკოტი პოლონეთში

ვარშავა, 4 მაისი (საკდესი). მთავრობის „ნაციონალური გაერთიანების ბანაკმა“ დაიწყო ფართო კამპანია, რომლის მიზანიცაა გერმანული პრესისათვის ბოიკოტის გამოცხადება პოლონეთში. „ექსპრეს პორანი“ სწერს: „ნაციონალური გაერთიანების ბანაკის“ გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ პოლონეთში მასობრივად ვრცელდება გერმანული პრესა, რომელიც პოლონეთის მდგომარეობას ყალბად და ტენდენციურად აშუქებსო.

„ნაციონალური გაერთიანების ბანაკის“ მთელმა რიგმა საოლქო კომიტეტებმა, მათ შორის ვარშავის კომიტეტმა, მოწოდებით მიმართეს კინოების, კაფეების, რესტორანებისა და კლუბების ყველა პატრონს, რათა მათ თავიანთ შენობებში დაუყოვნებლივ აღკვეთონ გერმანული გაზეთები და ჟურნალები და საერთოდ შესწყვიტონ მათი გამოწერა.

იაპონიის მოთხოვნები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისადმი

ტოკიო, 4 მაისი (საკდესი). 3 მაისს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სავადამ მიიწვია ინგლისისა და ამერიკის ელჩები კრეიგი და გრიუ. სავადამ მათ მიჰმართა სიტყვიერი განცხადებით შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის საკითხზე.

სავადამ ელჩებს მოსთხოვა, რათა გატარდეს სეტლმენტის მუნიციპალური საბჭოს რადიკალური რეორგანიზაცია, გადაისინჯოს სეტლმენტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის წესები, უსასტიკესი კონტროლი დაწესდეს პრესის მიმართ და ძირფესვიანად გადაიჭრას ყველა ის საკითხი, რომელიც საერთაშორისო სეტლმენტს ეხება.

გაზეთების ცნობით, ელჩებმა თავი შეიკავეს ამ საკითხის შესახებ თავისი თვალსაზრისის გამოთქმისაგან, რადგან ისინი ჰფიქრობენ, რომ სავადას მოთხოვნები მიუღებელ პუნქტებს შეიცავს. ელჩები შეჰპირდნენ, თქვენს განცხადებას ჩვენს მთავრობებს გადავცემთო.

ანკიფაშისტური მოძრაობის ზრდა იტალიაში

პარიზი, 4 მაისი (საკდესი). საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ ამას წინათ მილანში „ალფა-რომეოს“, „იზოტა ფრასკინისა“ და „კაპრონის“ ქარხნებში პოლიციამ მოახდინა მუშათა მრავალრიცხოვანი დაპატიმრება. მუშებს ბრალს სდებდნენ ანტიფაშისტური ფურცლების გავრცელებაში.

იუწყებიან აგრეთვე მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა შესახებ ტურინში, ბოლონიასა და რომში.

პრესა აღნიშნავს, რომ იტალიის პოლიტიკური პოლიცია ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიიდან მოსული გესტაპოს აგენტებით შეივსო.

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). გაზეთი „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ იტალიის ჩრდილო რაიონებში, განსაკუთრებით მილანში, ტურინსა და ბოლონიაში, ადგილი ჰქონდა ანტიგერმანულ გამოსვლებს. ამ ქალაქებშიც ისევე, როგორც რომის მუშათა რაიონებში, ბევრი დააპატიმრეს. იტალიიდან ლონდონში მიღებული წერილით იუწყებიან, რომ, როდესაც 2 გერმანელი ოფიცერი მილანის საოპერო თეატრში შევიდა, სხვადასხვა ადგილებიდან მათი მისამართით მტრული შეძახილები გაისმა.

„დიპლომატიური თვითმკვლელობა?“

ინგლისური ჟურნალი „ნიუს რევიუ“ ასეთი სათაურით ჰბეჭდავს სტატიას, სადაც იუწყებიან იმ რეპრესიის შესახებ, რომელიც გესტაპომ გამოიყენა გერმანიის ბუქარესტელი დიპლომატიური მისიის თანამშრომლის წინააღმდეგ. იმ დღეებში, სწერს ჟურნალი, როდესაც გერმანიამ ულტიმატუმი წაუყენა რუმინეთს, ბუქარესტში ჩავიდა გესტაპოს აგენტი-ქალი. იგი შევიდა გერმანიის დიპლომატიურ მისიაში და დისპანს განუცხადა, რომ ჩავიდა სპეციალური დავალებით იპოვნოს დამნაშავე ამ დიპლომატიური მისიის ოფიციალური და საიდუმლო ინფორმაციის გახმაურებაში. მისიის მდივნად მუშაობდა ერთი მოხელე ყოფილი გერმანული მისიისა ავსტრიაში; ეს მოხელე გერმანიის მიერ ავსტრიის დაპყრობის შემდეგ გადაყვანილ იქნა ბუქარესტში. ბუქარესტში ჩასულმა გესტაპოს აგენტმა-ქალმა ეს მდივანი სპეციალურ თათბირზე მიიწვია მისიის შენობაში და ყველას თანდასწრებით ესროლა მას. შემდეგ ქალმა განაცხადა, იგი ჯაშუშიაო. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ მოქმედებს ჰიმლერის პირადი მითითებით. მდივანი მოკლული არ არის, მხოლოდ მძიმედ არის დაჭრილი. მისიის თანამშრომლებმა სასწრაფო დახმარების ეტლი გამოიძახეს და ექიმებს განუცხადეს, ამ კაცს თავის მოკვლა უნდოდაო. როცა დაჭრილი ლოტაინი მოკვდა, მან მთელი ეს ისტორია უამბო იმ პირებს, რომელნიც მას უვლიდნენ საავადმყოფოში.

სამხედრო-საზღვაო მშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 4 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა მოიწონა კანონპროექტი არმიისათვის იარაღის შესასყიდად, სამხედრო-საზღვაო მშენებლობის განსახორციელებლად და სანაპირო თავდაცვის გასაუმჯობესებლად 153 მილიონი დოლარის გაღების შესახებ. ამავე დროს წარმომადგენელთა პალატის საზღვაო კომისიამ მოიწონა 6,5 მილიონი დოლარის გაღება ხუთი სახაზო გემის რეკონსტრუქციისათვის, რომელთაგან თვითეულის წყალწყვა 35 ათას ტონას უდრის.

იაპონელთა ზურგში

გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს, რომ ნანკინ-შანხაი-ხანჯოუს სამკუთხედის რაიონში იაპონელებს წინანდებურად უკავიათ მხოლოდ დიდი დასახლებული პუნქტები და რაიონები რკინიგზებისა და გზატკეცილების გასწვრივ. გამაგრებულ პუნქტებს იაპონელები არ შორდებიან, რადგან ეშინიათ პარტიზანებისა, რომლებსაც ჩინეთის ადგილობრივი მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევს, იფარავს მათ და სურსათ-სანოვაგით ამარაგებს. პარტიზანულ მოძრაობას ჩინეთის ამ ნაწილში, აღნიშნავს გაზეთი, აწყობს ჩინეთის მე-4 სახალხო-რევოლუციური არმია, რომელიც უმთავრესად ნანკინის სამხრეთით მოქმედებს. ამ არმიის ძირითად შეიარაღებას წარმოადგენს იაპონელებისათვის წართმეული საჭურველი. გაზეთს მოჰყავს შემთხვევა, როცა მე-4 არმიის ერთერთმა რაზმმა დაიწყო ბრძოლა იაპონელების წინააღმდეგ, როდესაც იგი პრომიტიულად იყო შეიარაღებული. რაზმი თანდათან შეიარაღდა მოწინააღმდეგის ხარჯზე. წლის განმავლობაში მან იაპონელებს წაართვა სამი ათასი შაშხანა, მრავალი ტყვიამფრქვევი და საომარი მასალა.

„ცუდი დღე ადგებათ მოღალატეებს—იაპონელთა მიერ შექმნილი მარიონეტული ხელისუფლების მოხელეებს,—სწერს გაზეთი,—როცა ისინი ხელში უვარდებიან მე-4 არმიის რაზმებს. მოღალატეებს ასამართლებს სახალხო სასამართლო, რომელსაც დაუზოგავად გამოაქვს მათთვის სასიკვდილო განაჩენი.

მე-4 არმიის მებრძოლნი, რომელნიც ულმობელი არიან მტრების მიმართ საომარი მოქმედების დროს, უაღრესად რბილად ეპყრობიან ტყვე იაპონელ ჯარისკაცებს. დაჭრილი ტყვე იაპონელები ჰოსპიტლებში წვანან მე-4 არმიის დაჭრილ მებრძოლთა გვერდით. უკანასკნელნი იაპონელებს ისწავლიან ჩინურ ენას და განუმარტავენ მათ ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი ომის დედაარსს“.

4 მაისი (საკდესი).

გერმანია და იტალია ესპანეთში დამკვიდრდნენ

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, ესპანეთში ამჟამად არის იტალიის 45 ათასი ჯარისკაცი, სულ ცოტა 800 ქვემეხი, დიდძალი ტანკი და 400-მდე თვითმფრინავი.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ ტეტუანში (ესპანეთის მაროკო) ჩადიან გერმანიის თვითმფრინავები გერმანელი „ტექნიკოსებითურთ“. ამას წინათ ესპანეთის მაროკოში ჩავიდა გენერალ ფრანკოს 40 ათასამდე ჯარისკაცი. გერმანიის ჯარი სიმაგრეებს აგებს სტრატეგიულ პუნქტებში საფრანგეთის მაროკოს პირდაპირ.



თბილისი. ჩელუსკინელთა სახელობის ხიდი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

„ბრმა მუსიკოსი“

ჰიათურის სახელმწიფო თეატრში

პერიფერიის თეატრთა ზოგიერთი ხელმძღვანელები თავს არ იტკივებენ რეპერტუარისთვის და მხოლოდ იმ პიესებს ჰკიდებენ ხელს, რომელთაც თბილისის სცენაზე წარმატება უნახავთ. ამ მხრივ უთუოდ გამორჩეული ჰიათურის სახელმწიფო თეატრი, რომელიც 13 წლის მანძილზე მოსაწონ გამბედაობას და ინიციატივას იჩენს რეპერტუარის შერჩევაში. თეატრმა დადგა ქართველი საბჭოთა დრამატურგების ყველა შესანიშნავი პიესები, გამოავლინა დრამატურგთა ახალი ძალები (გაბუნია, ჟორდანია, მდივანი, გაბესკირია); ჰიათურის თეატრმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ალექსანდრე იმედაშვილის მონაწილეობით წარმატებით დასდგა შექსპირის „ოტელო“ და „ქირეფული ცოლის მორჯულება“, აღადგინა სცენაზე მივიწყებული ქართული კლასიკური კომედია „ხანუმა“ და კოტე მესხის ცნობილი დრამა „რუსთაველი“ შალვა დადიანის ახალი რედაქციით.

მოძმე სომეხი ხალხის დრამატურგიიდან თეატრმა აირჩია ახალგაზრდა მწერლის მელიქ-ქორჩარიანის პიესა „ბრმა მუსიკოსი“, რომელმაც შარშანდელ სეზონში წარმატება ჰპოვა სომხეთის თეატრების სცენაზე. „ბრმა მუსიკოსი“ დასდგა ჰიათურის თეატრში აღზრდილმა ახალგაზრდა რეჟისორმა ს. ცომაიამ. მას პიესაზე მუშაობა სწორად წარუმართავს, სპექტაკლი მტკიცედ შეუკრავს და მთლიანობისთვის მიუღწევია, მაგრამ სცენაზე ბევრი გაუმართლებელი მოძრაობაა და სპექტაკლს აკლია ის სიმშვიდე, რაც ყოველ სრულყოფილ ნაწარმოებს ახასიათებს ხოლმე.

ოდნავ წელში მოხრილი, ჯანგაუტეხელი, მუდამ მოფუსფუსე, შვილების უსაზღვროდ მოყვარული და მზრუნველი დედის სოფოს სახეს, სცენიური ხერხების თავშეკავებითი გამოყენებით, მართლად და დამაჯერებლად ასახიერებს თამარ აბაშიძე (რესპ. დამსახ. არტისტი). მსახიობს ცდა არ დაუკლია, რომ ახალგაზრდა დრამატურგის მიერ სქემატურად მოცემული სახე ისე გაეცოცხლებინა, რომ სიფერმკრთალე აღარ შემჩნეოდა, მაგრამ დრამატურგს ნაკლსა და შეცოდებას მსახიობის ნიჭი ვერ დაუფარავს, პირიქით, მძაფრ სცენიური მასალა აუფერფლებს მსახიობის შემოქმედებას.

არამის როლს, პარტიაში შეპარული მტრის სახეს, მსახიობი **გ. გორდაძე** მოხერხებულად ხატავს. მართებულად მოქცეულა რეჟისორიცა და მსახიობიც, რომ ამ სახის მეტი დამაჯერებლობისათვის არამი მიმზიდველ, ეშმაუტანელ ადამიანად განუსახიერებიათ,—ასეთი გაგება მკაფიოდ და ნათლად აჩენს გარეგნული მიმხიბლველობის ნიღაბქვეშ დაფარულ ვერაგობას. გ. გორდაძე ანსამბლური, ზომიერი თამაშის მოსაწონ ჩვევას ამჟღავნებს და დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის.

მ. ვაშაძეს სცენისათვის მეტად კარგი გარეგნობა აქვს, მისი უეჭველ ნიჭის ელვარება მომხიბლველობას უქმნის მის თამაშს, ხმა სასიამო აქვს და ინტონაცია ხშირად მართალი და გულში ჩამწვდომი, მაგრამ სწორმეტყველება ჯერ კიდევ აკლია. მ. ვაშაძე ამ პიესაში მართლად და ამაღელვებლად ასრულებს „ბრმა მუსიკოსის“ როლს და მონოლოგის წარმოთქმისას, რომ ფმართებულო ხმის აწევა არ ეშინოდეს და მოძრაობაშიაც რომ მეტ ზომიერებას იჩენდეს, ცხადია, შთაბეჭდილებაც კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა. ჩვენი სცენის, ამ შესამჩნევ ძალას დიდი მუშაობა მართებს, რომ იმედები სრულად გაამართლოს.

ელენეს როლის შემსრულებელი **თ. ლოლაძე** ცოცხლად და გულწრფელად თამაშობს, სიტყვას და ჟესტიკულაციას გრძნობით ავსებს, თბილად და ხალისიანად მეტყველებს.

ექიმ მუსიანის შესამჩნევი სახის შექმნით სცენიერ ნიჭსა და აღლოს ამეღავნებს ახალგაზრდა მსახიობი **ა. შონია**, რომელსაც კიდევ დიდი მუშაობა მართებს, რომ მოძრაობის დაჭიმულობისაგან თავი გაინთავისუფლოს, მეტყველება ბუნებრივი ტონით გამართოს და დახვეწოს.

ბ. რომანიშვილი გაიუშას დასამახსოვრებელ სახეს გვიხატავს, თამაშს ცხოველი ტემპერამენტით ახალისებს და ამეღავნებს ხასიათის ცოცხლად გამოსახვის უნარს. სცენაზე მას მოხდენილად უჭირავს თავი.

თ. ერისთავი (ანაიდა), **დ. ჯაფარიძე** (ბაშა), **შ. თხელიძე** (ხოზობიანი), **გ. ქამუშაძე** (ადამ), **შ. ლელაშვილი** (კოლია) და **ი. გაფრინდაშვილი** (ერვანდ) უფერული როლების ანსამბლთან თანშეწყობით შესრულებას ახერხებენ.

ნიჭიერმა ახალგაზრდა მხატვარმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კოლორიტის დაცვას,—ფერების პიესაში მოცემულ განწყობილებასთან შეთანხმოვნებას და რეალური გარემოცვის აქტიორთათვის ხელისშემწყობად გადმოცემას. ყვითელი ფერი უადგილო ადგილას აქვს მხატვარს გამოყენებული.

სპექტაკლი მაყურებელთა შორის დიდ გამოხმაურებას პოულობს, რაც კოლექტივის შემოქმედებითი მზმწიფებისა და თეატრის აქტიორულ ძალთა შეუნელებელი ზრდის მაჩვენებელია.

დ. ჯანელიძე.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია, გამომცემლობა და სტამბა გადავიდნენ ახალ შენობაში — ლენინის ქ. № 28.

რედაქცია მოთავსებულია მეოთხე სართულზე,
გამომცემლობა და სტამბის დირექცია — მესამე სართულზე,
სტამბა — პირველ და მეორე სართულზე.
განცხადებების მიღება სწარმოებს პირველ სართულზე, დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

სსრ კავშირის ღერბი მამონტოვის ქვისაგან

ხოლმოგორი (ტერნგადასის ოლქი). 4 მაისი (საკდესი). ადგილ მატეველი მოჩუქურთმების ხოლმოგორელმა ოსტატებმა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის საუკეთესო ექსპონატები დაამზადეს. მამონტის ძვლისაგან გამოკვეთილია სსრ კავშირის ღერბი. ეს სათუთი ნამუშევარი დიდი ხელოვნებით არის შესრულებული ახალგაზრდა მხატვარ ამბ. ბრისტოფოროვის მიერ. კარგად არის შესრულებული ოსტატების ამბ. შტანგისა და კოზიცინის მიერ ნამუშევარი ხუთქმიანი ჯარსკვლავი.

მეხანძრეების ფეხით გადასვლა

წყალტუბო — აბასთუმანი

სოციალისტური შეჯიბრების 10 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოსთან არსებული სახანძრო დაცვის განყოფილება აწყობს მეხანძრეთა ფეხით გადასვლას წყალტუბოდან აბასთუმანში.

გადასვლის სტარტი შესდგება 7 მაისს კურორტ წყალტუბოში. გადასვლაში მონაწილეობს 10 მეხანძრე. მანძილი წყალტუბოდან აბასთუმნამდე (ზეკარის უღელტეხილით) მათ უნდა გაიარონ 2 დღეში და 9 მაისს მივიდნენ აბასთუმანში.

9 მაისს წყალტუბოელი მეხანძრეები გაეცნობიან აბასთუმნის სანანძრო რაზმის მუშაობას და შეამოწმებენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

კულტურისა და დასვენების პარკებში

დღეს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის (ყოფ. მუშტაიდი) ესტრადაზე გამოვა აზერბაიჯანის სახელმწიფო ესტრადის მოსიმღერეთა, მოცეკვავეთა და ჰუმორისტთა ანსამბლი. კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება ხმოვანი მხატვრული ფილმი—„რუსლან და ლიუდმილა“. პარკში — ევროპული ცეკვები, ჯაზ-ორკესტრი, სასულე ორკესტრი და ატრაქციონები. მუშაობს სბავშვო რკინიგზა, კარუსელი, საპარაშუტო კოშკი და სხვ.

○

დღეს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულორის პლატო) დაეკრავს ჯაზ-ორკესტრი ბაბოვის ხელმძღვანელობით და სასულე ორკესტრი ულტუხინის ხელმძღვანელობით. კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება ხმოვანი მხატვრული ფილმი „ალმასი“. მუშაობს ყველა ატრაქციონი.

ფუნიკულორის პლატოსკენ ავტობუსები გადიან ბერიას სახელობის მოედნიდან.

ღამის სეზონის გახსნა

დღეს თბილისის იპოდრომზე გაიხსნება 1939 წლის ღამის სეზონი. ღამის დაწყებამდე ჩატარდება ჯიშიანი ახალგაზრდა ცხენების აღლუმი. გათამაშდება სეზონის გახსნის ჯილდო. იპოდრომი რადიოფიცირებულია. ღამეს შუა სპეციალურად მოწყობილ მოედანზე გაიმართება ევროპული ცეკვები. დაუკრავს ჯაზ-ორკესტრი.

იპოდრომის ტერიტორიაზე მოწყობილია დიდი ბუფეტი, ტოტალიზატორი და სხვა გასართობები.

ღამეს სპადიონზე

ღამეს, სალამოს 6 საათზე **ლ. პ. ბერიას** სახელობის სტადიონზე შესდგება თბილისის და როსტოვის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი.

პარტკაბინეტებში

7 მაისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამბ. მოისწრაფეშვილის ლექციას თემაზე: ლენინ-სტალინის პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები და ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში. ქართულ ენაზე. დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამბ. ლარცულიანის ლექციას თემაზე: ვ. ი. ლენინის წიგნი—„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“ და მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები. ქართულ ენაზე. დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი

6 მაისს დიდი სეირნობა

კინო „ალმას“ ხმოვანი კინო-ფილმი, დასაწყისი 9 ს.
დაუკრავს სასულე ორკესტრი ჟელტუხინის ხელმძღვანელობით.
ჯაზ-ორკესტრი **ს. ბაბოვის** ხელმძღვანელობით.
სხვადასხვა გასართობები: ტირი, კეგელბანი, ოქროს თევზი, კარუსელი, მოძრავი სერსო, ბურთები, დისკი, საქანელა და სხვ.
დიდი ფეიერვერკი
სამკითხველო, საჭადრაკო და საბილიარდო ღიაა ღამის 12 ს-მდე. საბავშვო კერა მუშაობს დილის 10 ს. საღ. 10 ს-მდე. მუშაობს რესტორანი, პავილიონები და კიოსკები.
50 **დირექცია**

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

6/V	წარმოდგენა 180 **ოფელო**
8/V	წარმოდგენა 181 **მთავრეხილზე**
9/V	წარმოდგენა 182 **არსენა**

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

6/V	**შერი**
8/V	**დები ქერარ**
9/V	**მათი ამბავი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

თბილისის ზ. ჭ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

6/V	8/V	9/V
მუდმ. ადგ. ტალ. № 161	მუდმ. ადგ. ტალ. № 162	მუდმ. ადგ. ტალ. № 163
ბრაგიანზა	**დაისი**	**აიდა**

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

საქ. ფინსახკომი აცხადებს,
რომ საკავშირო სახკომსაბჭოს 1939 წ. 23 აპრილის № 547 დადგენილების თანახმად, ა. წ. პირველი ივნისიდან
ბანკები ანარმოებენ დანესებულებათა, ორგანიზაციათა და სანარმოთა სამმართველო აპარატის მუშაკთა ხელფასის გაცემას
მხოლოდ შტატების სარეგისტრაციო ბარათების წარდგენის შემდეგ, სადაც აღნიშნული იქნება 1939 წლის შტატების რეგისტრაცია.
დაწესებულება-ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს ეკრძალვით ახალი საშტატო განრიგების ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე მომქმედ საშტატო განრიგებში და ხელფასის განაკვეთებში ცვლილებების შეტანა, ვიდრე არ გატარდებიან რეგისტრაციაში საფინანსო ორგანოებში.
594 **ფინანსთა სახალხო კომისარიატი.**

მესამე ხუთწლედის სესხზე
(პირველი წლის გამოშვება)
ხელისმომწერნო
მოვითხოვეთ, რომ ობლიგაციები დროზე მოგცენ.
გახსოვდეთ: ვინც თავისი ხელმოწერის მიხედვით ხელზე არ მიიღებს ობლიგაციებს, ის მონაწილეობას არ იღებს მოგებათა ტირაჟში.
მუშებს და მოსამსახურეებს ობლიგაციები უნდა მისცეს საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიამ მუშაობის ადგილზე მიმდინარე წლის აპრილის მეორე ნახევრის ხელფასთან ერთად.
თუ თქვენ გამოიცვალეთ მუშაობის ადგილი და არ მიგიღიათ ობლიგაციები, მისაღებად მიმართეთ იმ საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიას, სადაც თქვენ მოაწერეთ ხელი სესხზე, ან აცნობეთ მას თქვენი მისამართი თქვენთვის ობლიგაციების გამოსაგზავნად.
კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ გლეხებს ობლიგაციებს აძლევენ სასოფლო საბჭოების რწმუნებულნი, რომლებიც აწარმოებდნენ სესხის შესატანების აკრეფას, იმის შემდეგ, როდესაც თვითეული ხელისმომწერი გადაიხდის ხელმოწერის მთელ თანხას, მაგრამ არა უგვიანეს 1939 წლის 10 მაისისა.
საქართველოს სსრ სახელმწიფო ზრომის შემნახველი სალაროებისა და სახ. კრედიტის სამმართველო.
595

**ბ. ბ. ბ.